

გერმანული ფილოლოგია

გერმანული ენა 1

German Language 1

კურსის მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის ამაღლება (გერმანული ენა) და საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სტანდარტით განსაზღვრული B^{1.1} დონის მიღწევა. ენობრივ-საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება); ცალკეული ენობრივი ასპექტების სწავლება (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა); ქვეყანათმცოდნეობის ასპექტების გაცნობა; ინტერკულტურული ასპექტების გაცნობა-გაცნობიერება და ტოლერანტული დამოკიდებულების გამომუშავება, კომუნიკაციური მზადყოფნა.

გერმანული ენა 2

German Language 2

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს უვითარდებათ ენობრივ-საკომუნიკაციო კომპეტენციები (უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქციის *(დიალოგი, ინტერვიუ)*, აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების მოსმენა-გაგება ყოველდღიურ თემებზე; მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების, საინფორმაციო, მედიის, მოკლე ფორმატის ლიტერატურული ტექსტების, საშუალო სირთულის გრაფიკებისა და სქემების წაკითხვა და გაგება; კონკრეტული ტექსტის წერილობით ჩამოყალიბება (მაგ., პირადი წერილი, დღიური) და პროდუცირების პროცესში კონკრეტული ტექსტის სახეობებისათვის დამახასიათებელი ფორმისა და სტრუქტურის დაცვა; მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (განვლილი თემატიკა) ინტერაქციისათვის თავის გართმევა, ცალკეული სამეტყველო სიტუაციაში კომუნიკაციის წარმართვა; ცალკეული ენობრივი ასპექტების გაღრმავება შესაბამისი ენობრივი დონის მოთხოვნების მიხედვით (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა); ქვეყანათმცოდნეობითი და შესაბამისი გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურის ცალკეული ასპექტების დაუფლება; სამიზნე ქვეყნის კულტურის ცალკეული ასპექტების გაცნობიერება; ქართული და უცხოური (გერმანული) კულტურის არეალში ანალოგებისა და კონტრასტების გაცნობა, კულტურათა დიალოგის წარმართვა სწავლის პროცესში.

გერმანული ენა 3

German Language 3

კურსის მიზანია, სტუდენტებმა შეიძინონ პრაგმატული, კოგნიტიური და აფექტურ-ემოციური ცოდნა და უნარ-ჩვევები: უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის სხვადასხვა თემაზე მიმდინარე ინტერაქციისა (*დიალოგი, ინტერვიუ*) და ნაცნობი თემატიკის მქონე სხვადასხვა სახის აუდიოჩანაწერის (*საინფორმაციო გადაცემა, ინტერვიუ*) მოსმენა-გაგება. სხვადასხვა სახის დარგობრივი და შემეცნებითი (*მაგ., ქვეყანათმცოდნეობითი, კულტურის, დარგში მოღვაწე პირთა ბიოგრაფიების*), არაადაპტირებული ლიტერატურული (*მაგ., ნოველა, მოთხრობა და სხვ.*) ტექსტების წაკითხვა და გაგება; ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში; კონკრეტული ტექსტის სახეობების წერილობით ჩამოყალიბება (*მაგ., ესე, წერილი, ინფორმაციული ტექსტი - ტურისტული გზამკვლევი, ინფორმაციული ბუკლეტი*) და პროდუცირების პროცესში კონკრეტული ტექსტის სახეობებისათვის დამახასიათებელი ფორმისა და სტრუქტურის დაცვა; მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (განვლილი თემატიკა) ინტერაქციისათვის თავის გართმევა, ცალკეული სამეტყველო სიტუაციაში (*მაგ., ყოფით თემებზე*) კომუნიკაციის წარმართვა; ზეპირი მოხსენების წარდგენა (*პრეზენტაცია*) კონკრეტულ წინასწარ მომზადებულ თემაზე. ცალკეული ენობრივი ასპექტების გაღრმავება შესაბამისი ენობრივი დონის მოთხოვნების მიხედვით (*ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა*); ქვეყანათმცოდნეობითი და შესაბამისი გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურის ცალკეული ასპექტების დაუფლება.

გერმანული ენა 4

German Language 4

კურსის მიზანია გერმანული ენის შესწავლის პროცესის გაგრძელება. კურსის ბოლოს მიღწეულ უნდა იქნეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B^{1.4} დონე, სავალდებულო დისციპლინა, რადგანაც ის წარმოადგენს ენის შესწავლის პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ საფეხურს. პრაქტიკული კურსის სწავლის მიზანს წარმოადგენს პრაგმატული, კოგნიტიური და აფექტურ-ემოციური ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა. პრაგმატული ასპექტი: ენობრივ-საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარება (*წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება*) ცალკეული ენობრივი ასპექტების შესწავლა (*ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა*) კოგნიტიური ასპექტი: ქვეყანათმცოდნეობა, ენობრივი კულტურათაშორისი ინტერფერენციასოციალური კომპეტენცია: ტოლერანტობა, კომუნიკაციური მზადყოფნა.

გერმანული ენა 5

German Language 5

კურსის მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის ამაღლება (გერმანული ენა). კურსის ბოლოს მიღწეულ უნდა იქნეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B^{2.1} დონე. ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ცალკეული ენობრივი ასპექტების სწავლა (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) ქვეყანათმცოდნეობის ასპექტების გაცნობა; ინტერკულტურული ასპექტების გაცნობა, გაცნობიერება და ტოლერანტობის გამომუშავება; კომუნიკაციური მზადყოფნა.

გერმანული ენა 6

German Language 6

კურსის მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის ამაღლება (გერმანული ენა). კურსის ბოლოს მიღწეულ უნდა იქნეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B^{2.2} დონე. კურსი უზრუნველყოფს გერმანული ენის სწავლებას ისეთ დონეზე, რომ ენის შემსწავლელმა სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები თავისუფლად გამოიყენოს ბუნებრივ გარემოში. პრაქტიკული კურსის სწავლის მიზანს წარმოადგენს პრაგმატული, კოგნიტიური და აფექტურ-ემოციური განზომილებების ჩამოყალიბება. ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება); ცალკეული ენობრივი ასპექტების სწავლა (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა); ქვეყანათმცოდნეობის ასპექტების გაცნობა; ინტერკულტურული ასპექტების გაცნობა, გაცნობიერება და ტოლერანტობის გამომუშავება; კომუნიკაციური მზადყოფნა.

გერმანული ენის აუდიო-ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა1

Theory and Practice of Audio-Visual Media of the German Language1

გერმანული ენის სტანდარტული წარმოთქმისა და აუდირების (მოსმენილი აუდიო მასალის აღქმა-გაგება) უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელთა გარეშე შეუძლებელია გერმანულენოვან სივრცეში შეუფერხებელი და კორექტული კომუნიკაცია, გერმანულენოვანი ლექცია-სემინარების, ყოფითი საუბრების და ა.შ. გაგება და მათზე ადეკვატური ვერბალური რეაგირება. სასწავლო კურსი დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნილ სტუდენტებს, არამედ კურსდამთავრებულებსაც, რომლებსაც შეეძლებათ საერთაშორისო სივრცეში დასაქმების ბაზარზე ამ ასპექტში შეძენილი ცოდნის გამოყენება.

გერმანული ენის აუდიო-ვიზუალური მედიების თეორია და პრაქტიკა2

Theory and Practice of Audio-Visual Media of the German Language2

- ვიდეოკურსის “Einblicke” (“მზერა”) კომუნიკაციური და ინტერკულტურული ასპექტები განპირობებულია კურსში მონაწილე სტუდენტების საშუალო დონის **საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბებისთვის:**

- დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ნაწყვეტების ვიზუალური და სმენითი აღქმით ენის შესწავლა კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებების სწორი ინტერპრეტაციის უნარის, გაგებისა და მეხსიერების მობილიზაციის საფუძველზე.

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში

Introduction to the German Philology

სასწავლო კურსის მიზანია შეუქმნას სტუდენტს საბაზისო ცოდნა გერმანისტიკის, როგორც ერთიანი ფილოლოგიური დარგის, შესახებ მისი შემადგენელი მოდულების გერმანული ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების გაგების საფუძველზე. სალექციო კურსის ამოცანაა გააცნოს სტუდენტს გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამდვრები: გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიული და თეორიული ასპექტები და კვლევის თანამედროვე მეთოდები. გერმანისტული ლინგვისტიკის ძირითადი ცნებები, ისტორიული განვითარების ძირითადი ტენდენციები, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტები, ლინგვისტური აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, გერმანისტული კვლევისთვის აუცილებელი ინსტრუმენტარიუმი.

ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1880-1945)

The History of New German Literature (1880-1945)

კურსი მომავალ გერმანისტებს აცნობს XX საუკუნის I ნახევრის გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს და ამ ეპოქის გერმანელ, ავსტრიელ და შვეიცარიელ მწერალთა შემოქმედებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ ლიტერატურული ეპოქის ავტორთა იმ ნაწილს, რომელიც ჩვენს პროგრამებში წლების განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. სემინარებზე ზოგად ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტთან ერთად განხილვის საგანი იქნება ცალკეული მწერლების პოეტოლოგიური

შეხედულებები და შემოქმედებითი გზა. ამასთან, საგანგებოდ გაანალიზდება ამა თუ იმ ნიშნით საყურადღებო (ტიპური, საპროგრამო და სხვ.) ნაწარმოებების მხატვრული სპეციფიკა.

გერმანული ენის ისტორია

The History of German Language

სასწავლო კურსი განიხილავს გერმანული ენის ისტორიას მე-6 საუკუნიდან თანამედროვე პერიოდამდე; საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, რომელთაც ზეგავლენა იქონიეს ენის განვითარებაზე; გერმანული ენის განვითარების ძირითადი სტადიები, ასევე გერმანიკული ენების უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები კონტრასტულად; ცვლილებები, რომლებიც ენის ყველა დონეზე მოხდა;

გერმანული ენიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა

The Theory and Practice of Translation

კურსი ითვალისწინებს თარგმნის თეორიის საფუძვლების, ქართული თარგმნის ისტორიისა და ცალკეული გამოჩენილი მთარგმნელების შემოქმედების შესწავლას. სტუდენტები ეუფლებიან თარგმნის ტექნიკას, კომპარატიული ანალიზის მეთოდიკას. კურსი მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: თარგმნის თეორიის განვითარების ისტორია; ქართული თარგმნის ისტორიული ფესვები; მხატვრული თარგმნის არსი; თარგმნის შეფასების კრიტერიუმები; მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი და თარგმნის ენის პრობლემა; ქართული პოეტური თარგმნის განვითარების ტენდენციები; პროზის თარგმნის განვითარების ტენდენციები; ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი ქართული თარგმნის ისტორიაში; ქართული თარგმნის პანორამა.

გერმანული ენის გრამატიკის საფუძვლები

The Foundations of German Grammar

წინამდებარე კურსი ითვალისწინებს, რომ გერმანული ენის გრამატიკის სწავლება კომპაქტურად/შემჭიდროებულად¹ წარმართოს ორ ასპექტში – **თეორიულსა და პრაქტიკულში**. აზიაროს შემსწავლელი გერმანული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური წყობის თავისებურებებსა და მათი მეცნიერული აღწერის მეთოდებს; იგი იმთავითვე მიაჩვიოს ზოგადლინგვისტურ, ინტერდისციპლინარულ პარამეტრებში აზროვნებას სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით და გერმანული ენის გრამატიკულ კანონზომიერებათა

განხილვას ენობრივ უნივერსალებთან მიმართებაში. შეაიარაღოს შემსწავლელი ცოდნით გერმანული ენის სისტემისა და მისი ფუნქციონირების შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს გრამატიკულად სწორ სიტყვაფორმათა აგებისა და სინტაგმაში/წინადადებაში მათი რეალიზაციის კომპეტენციების შექმნა, ისევე როგორც შეცდომის დიაგნოსტიკირებისა და მათი დაძლევის კომპეტენციების გამომუშავება.

პრაქტიკუმი გერმანული საინფორმაციო და ლიტერატურული ტექსტების თარგმნაში

The Translation of the Informational and the Literature Texts

კურსის ფარგლებში შეისწავლება გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები; კონვერგენტული და დივერგენტული ფორმების გამოყოფა მორფოლოგიის და სინტაქსის სფეროში; განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლის კომპენსაციის პრობლემა; პასივისა და აქტივის სიხშირის კოეფიციენტი გერმანულ და ქართულ ენებში; გრამატიკული სქესის დივერგენტულობის პრობლემა; ფრაზეოლოგიის თარგმნის პრობლემა ეროვნული კოლორიტის ასპექტში; ნაცვალსახელების სისტემა; დივერგენცია გერმანული და ქართული დროის ფორმების სფეროში; სტილის კომპენსაციის პრობლემა სამეცნიერო და მხატვრული ტექსტების თარგმნაში.

გერმანული ენის ლექსიკოლოგია

The Lexicology of German Language

წინამდებარე კურსის ფარგლებში სტუდენტი ეცნობა გერმანული ენის ლექსიკოლოგიის ძირითად ცნებებს, მის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, გერმანული ენის ლექსიკური მარაგის თანამედროვე მდგომარეობას, მენტალური ლექსიკონის თავისებურებებს. იძენს უნარს დაუკვირდეს ენაში მიმდინარე პროცესებს (სინონიმის, ანტონიმის, ომონიმის, უცხო ენებიდან შემოსულ სხვადასხვა ნასესხობების (ანგლიციზმებსა და ამერიკანიზმებს), ნეოლოგიზმების, ჟარგონიზმების, (ახალგაზრდული არგოს სახით) მაგალითების ანალიზის საფუძველზე. იძენს გერმანული ფრაზეოლოგიზმების (შესიტყვებების, იდიომატიკის და სხვ.) თავისებურებებისა სიტყვაწარმოების ფუძემდებლურ ცოდნას. ლექსიკოლოგიაში საბაზისო დარგობრივ კომპეტენციებთან ერთად ეცნობა და სწავლობს სემანტიკის ძირითად ცნებებსა და თეორიებს, როგორებიცაა: მახასიათებლების სემანტიკა, პროტოტიპების, სკრიპტების და ფრეიმების თეორიები, ამბიგურობა და სხვ. გარდა თეორიული

ცოდნისა სტუდენტი ეცნობა არა მხოლოდ ლექსიკონების გამოყენების, არამედ, აგრეთვე, ლექსიკოგრაფიული მუშაობის ამოსავალ პრინციპებს.

გერმანული ენის სტილისტიკა **The Stylistics of German Language**

წინამდებარე კურსით სტუდენტი იძენს კომპეტენციებს გერმანული ენის სტილისტიკაში, რომლებიც მოიცავს ლინგვისტური სტილისტიკის (როგორც გერმანული ენათმეცნიერების შემადგენელი ნაწილის) ძირითადი ცნებებისა და მეთოდების ცოდნას.

სტილისა და სტილისტიკის ძირითადი ცნებების, სტილის როგორც არჩევანის და სტილისტური შეფერილობების, დონეების, სტილის კონოტაციური ელემენტებისა და მახასიათებლების შესწავლის გზით სტუდენტს ექმნება ფუნქციონალური, უპირატესად არამხატვრული, (პრაგმატიკული) სტილების, მათი ანალიზის თეორიულ-პრაქტიკული საფუძველი. (ესენია: სასაუბრო, ოფიციალური, პუბლიცისტური და სამეცნიერო ფუნქციონალური სტილები, ასევე მხატვრული სტილის, როგორც ერთ-ერთი ფუნქციონალური სტილის, ძირითადი მახასიათებლები). სტილისტიკის ტერმინების აპარატის ფლობა, არგუმენტაციისთვის საჭირო რიტორიკული საშუალებების გამოყენების უნარი საფუძველია ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებისა და “ენის გრძნობის” გამომუშავებისთვის, რაც სტუდენტს უადვილებს გერმანულ ენაზე ტექსტების კომპლექსური შინაარსების გაგებას და უვითარებს აზრების ცხადად (გასაგებად) გადმოცემის უნარს. სტილისტიკური საშუალებების აღმოჩენის, კლასიფიცირების და იდენტიფიცირების, ფუნქციონალური სტილების მაგალითების ანალიზის მეთოდების ცოდნა ხელს უწყობს თეორიული მასალის მოძიების, ენობრივი მონაცემების კორპუსის შედგენისა და მისი თანამედროვე თეორიული კვლევის, რეფერატის გერმანული სტანდარტით წერილობით ფორმაში წარმოდგენისა და მისი ზეპირ ფორმაში პაუერ პოინტით პრეზენტაციისა და დისკუსიის ჩვევების გამომუშავებას.

გერმანული ლიტერატურის ისტორია: ბაროკო და განმანათლებლობა

The History of German Literature: Barocco and Enlightenment

სტუდენტებს აძლევს ზოგად ცოდნას გერმანული ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული ეპოქის, ბაროკოს და განმანათლებლობის შესახებ. დამუშავდება როგორც თეორიული, ასევე წმინდა ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემები. სასწავლო კურსი დაყოფილია ორ ბლოკად. პირველი ნაწილი ეთმობა ბაროკოს ეპოქას, მეორე – განმანათლებლობას.

გერმანული ლიტერატურის ისტორია: კლასიკა და რომანტიზმი

The History of German Literature: Classicism and Romantism

კურსის მიზანია გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის – ვაიმარული კლასიკისა (Weimarer Klassik) და რომანტიზმის შესწავლა. დაწვრილებით განიხილება ვაიმარული კლასიკისა და რომანტიზმის სპეციფიკა, რომანტიზმის ცალკეული სკოლები (იენის, ბერლინისა და ჰაიდელბერგის სკოლები), ამ მიმდინარეობების ფილოსოფიური საფუძვლები (ი. კანტი, ი. გ. ფიხტე, ფრ. შლაიერმახერი, ფრ. ვ. ი.შელინგი, მისტიკა (იაკობ ბაომე), „მაგიური იდეალიზმი“ და ა.შ.) და ძირითადი წარმომადგენლების შემოქმედება (ი. ვ. გოეთე, ფრ. შილერი, ნოვალისი, ფრ. შლეგელი, ე. თ. ა. ჰოფმანი, ი. ფონ აიჰენდორფი, ლ. ტიკი და სხვა).

გერმანული მედიევისტის შესავალი

The Introduction to the Medievalistic

სასწავლო კურსის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტებს მისცეს ზოგადი ცოდნა გერმანული მედიევისტისა და გერმანული შუა საუკუნეების შესახებ. აქცენტი უმთავრესად კეთდება შუა საუკუნეების გერმანულ ლიტერატურაზე.

შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში (გერმანულენოვანი სემინარით)

The Introduction to the Text Linguistics

კურსის მიზანია სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ დაგროვილი ლინგვისტური ცოდნის შეჯერება და გაღრმავება; ტექსტის, როგორც ენობრივი იერარქიის უმაღლესი დონის ერთეულის, ანალიზის ობიექტად წარმოჩენას; სხვადასხვა ანალიზური მეთოდებისა და მოდელების საფუძველზე ტექსტის სიღრმული და ზედაპირული სტრუქტურების შესწავლას; ტექსტში საკომუნიკაციო ფუნქციების გამოიკვანას, მის კვლევას ინტერდისციპლინურ რაკურსში და შესაბამისად, მომიჯნავე/დამხმარე ფილოლოგიური დისციპლინების მეთოდების გაცნობას და მათ გამოყენებას ანალიზის პროცესში.

უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორია (1945-2000)

The History of new German Literature (1945-2000)

სასწავლო კურსი მომავალ გერმანისტებს აცნობს XX საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებსა და თანამედროვე გერმანულ, ავსტრიულ და შვეიცარიულ მწერალთა შემოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ მწერლობის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენს პროგრამებში წლების განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. სემინარებზე ზოგად ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტთან ერთად განხილვის საგანი იქნება ცალკეული მწერლების

პოეტოლოგიური შეხედულებები და შემოქმედებითი გზა. საგანგებოდ გაანალიზდება ამა თუ იმ ნიშნით საყურადღებო (ტიპური, საპროგრამო და სხვ.) ნაწარმოებების მხატვრული სპეციფიკა.

ტექსტი და კულტურა

Text and Culture

ეს კურსი სტუდენტს წარმოადგენას უქმნის გერმანულ ენაზე, როგორც პლურიცენტრისტულ ენაზე, აცნობს მას გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურას, მსგავსებასა და განსხვავებას მათ შორის. ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის დარგობრივი ტექსტებით ოპერირებას შეასწავლის ისე, რომ სტუდენტმა შესძლოს შეადაროს ერთი მხრივ გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურა, ხოლო მეორე მხრივ შემსწავლელმა ამოიცნოს მშობლიური და უცხო კულტურათა შორის მსგავსება და განსხვავება.

გერმანულენოვანი ლიტერატურა XIX საუკუნეში

The German Literature of XIX Century

სასწავლო კურსის მიზანია, შეუქმნას სტუდენტს წარმოდგენა 1815-1900 წლების გერმანული ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესახებ, მისცეს მას ცოდნა რამდენიმე ლიტერატურული ეპოქის შესახებ: ბიდერმაიერი, ახალგაზრდა გერმანია, ფორმერცი (1815-1848), რეალიზმი (1848-1897) და ნატურალიზმი (1880-1900). სხვადასხვა ეპოქის ტექსტებზე მუშაობის შედეგად სტუდენტი გაეცნობა მათ ჟანრობრივ სპეციფიკას. ამასთან, იგი დაეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის შიგასტრუქტურულ, ჰერმენევტიკულ და სტრუქტურალისტურ მეთოდებს და გაითავისებს ლიტერატურული მეტა-ენის ტერმინოლოგიას.